

გიორგი ქანთარია*

სასამართლო და კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივი რეჟიმი

სამედიაციო მოხიგების ეფექტური აღსრულების მექანიზმის ახსებობა მედიაციის ინსტიტუტის განვითარების უმთავრესი წინაპირობაა, ხაც სასამართლო სისტემის განვითარებისა და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების გზით, პიხდაპიხაა დაკავშირებული ქვეყანაში სამართლიანი სასამართლოს უფლების ხედიზაციასთან.

მედიაცია, ხოგოხც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალება, ქახთული საკანონმდებლო სიგ-ხცისთვის სიახდეს წახმოადგენს, ხის გამოც სამედიაციო მოხიგების აღსრულების სამართლებრივი რეჟიმი, პხაქტიკაში მნიშვნელოვან პიხობდემებს უკავშირდება.

წინამდებახე სტატიაში, სასამართლო და კეხძო მედიაციის მაგალითზე, განხილულია, თითოეული მათგანის ფახგდებში დადებული სამედიაციო მოხიგების აღსრულებასთან დაკავშირებული ხისკები, საკანონმდებლო სიგხცეში ახსებული ხახვებები და მათი გავდენა მხახეთა ინტეხესების დაცვისა და მედიაციის ინსტიტუტის ეფექტიანობაზე.

ამ თვადსაზიხისით სტატიაში განსაკუთრებული ყუხადლება ეთმობა სამედიაციო მოხიგების იუხი-დიურ შინაახსსა და ხოდს სამართლებრივი სისტემის მდგხადობაში. ასევე, კეხძო სამედიაციო მოხიგების აღსრულებისთვის დადგენილი საკანონმდებლო წინაპირობების შესაბამისობას ამ სფეხოში ახსებულ გამოწვევებთან. სასამართლო მედიაციასთან მიმახთებით გაანალიზებულია სამედიაციო მოხიგების აღსრულებასთან დაკავშირებით ახსებული საკანონმდებლო ხეგუდიხების პხაქტიკური პიხობდემები, შემოთავაზებულია მათი გადაჭიხისათვის საჭიხო შესაბამისი ხეკომენდაციები.

საკვანძო სიგყვები: სასამართლო მედიაცია, კეხძო მედიაცია, სამედიაციო მოხიგება, სამედიაციო მოხიგების აღსრულება, სამედიაციო მოხიგების კანონიეხების მაგეხიადუხი და პიხოცესუადუხი წინაპირობები.

I. შესავალი

მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალების განვითარებისათვის, სასამართლო და კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულების სამართლებრივი რეჟიმის კვლევას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. საკითხი აქტუალურია, ვინაიდან საქმე ეხება მედიაციის შედეგის პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობას, რაც დავის გადაწყვეტის ამ საშუალების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს.

მედიაციის საჭიროება წარმოიშობა კონფლიქტის პირობებში, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების გარდაუვალი¹ და თანმხლები მოვლენაა.² აღნიშნული კი დღის წესრიგში

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ადვოკატი. <https://orcid.org/0009-0004-4243-4971>.

¹ ბახნეთი ქ. გ., უიღისი თ., მედიაცია, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, თბილისი, 2016, 250.

² ცეხცვაძე გ., საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბილისი, 2012წ., 21.

აყენებს მისი მართვისა და მისგან სარგებლის მიღების სწავლის აუცილებლობას,¹ რისთვისაც მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ხელმისაწვდომი და სწრაფი გზა, ეფექტური საშუალებაა.² სასამართლოსგან განსხვავებით, მედიაცია ეხმარება მხარეებს შეინარჩუნონ მეგობრული ურთიერთობა³ და არსებული კონფლიქტიც მხარეთა ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ.⁴

ამ თვალსაზრისით, მართალია, სამედიაციო მორიგება, ნებაყოფლობითობის პრინციპზე დაყრდნობით თავად მხარეთა მიერ მიიღება, მაგრამ სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მისი იძულებითი აღსრულების ეფექტური მექანიზმის არსებობა მედიაციის უმთავრესი ეგზისტენციალური საფუძველია. აღნიშნული კიდეც ერთხელ დადასტურდა „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენციის მიღებით. საქართველო მითითებულ კონვენციას 2021 წლის 22 ივნისს მიუერთდა, რითაც ეროვნული კანონმდებლობის კონვენციით განმტკიცებულ პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება აიღო, მათ შორის სამედიაციო მორიგების აღსრულების ნაწილში.

მართალია, სამედიაციო მორიგების იძულებითი აღსრულების მექანიზმის არსებობის აუცილებლობა, დღის მდგომარეობით, განხილვის საგანს არ წარმოადგენს, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელების ფორმა სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს.

უპირველეს ყოვლისა აუცილებელია განისაზღვროს სამედიაციო მორიგების იურიდიული შინაარსი, რათა მხარეებმა სასამართლო დავის გვერდის ავლით, პირდაპირ აღსრულებადი დოკუმენტის მისაღებად, თავიანთი სტანდარტული სამოქალაქო გარიგებები არ წარმოადგინონ სამედიაციო მორიგების ფორმით და ამგვარად ბოროტად არ ისარგებლონ მისი აღსრულების გამარტივებული რეჟიმით. ამავდროულად, დასაზუსტებელია სამედიაციო მორიგების, როგორც სამოქალაქო გარიგების ნამდვილობისთვის დადგენილი წინაპირობები და მათი გავლენა სასამართლოს მიერ სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვის პროცესზე.

ასევე, დაზუსტებას მოითხოვს სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცედურაც, რაც პრაქტიკაში მეტად პრობლემატურია. პრობლემის არსი მდგომარეობს ნორმათა ზოგად ხასიათში, რაც განსხვავებული ინტერპრეტაციების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში-სამოქალაქო საპროცესო კოდექსი) 272-ე მუხლის „დ1“ ქვეპუნქტი საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძვლად მიიჩნევს სამედიაციო მორიგების არსებობას და ამავდროულად არ უთითებს სასამართლოს მიერ, მისი დამტკიცების ვალდებულებაზე, რაც აჩენს კითხვას იმის თაობაზე თუ რამდენად დასაშვებია სასამართლო მედიაციის ფარგლებში მიღებული სამედიაციო მორიგების საფუძველზე საქმისწარმოების შეწყვეტა, მისი აღსრულების საკითხის განხილვის გარეშე და რამდენადაა დასაშვები სამედიაციო მორიგების საკითხის ძირითადი საქმისგან დამოუკიდებლად განხილვა. საკითხს დამატებით ართულებს ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვას სპეციალური თავით აწესრიგებს, რაც ამ ორი პროცესის (საქმისწარმოების შეწყვეტა და სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვა) ერთმანეთისგან განცალკევებული განხილვის საშუალებას იძლევა, შედეგად სასამართლო მედიაციის შემთხვევაში შეიძლება მივიდეთ შემთხვევამდე, როდესაც საქმისწარმოება შეწყდება მხარეთა მიერ მედიაციის პროცესში სამედიაციო მორიგების გაფორმების გამო, რომლის აღსრულების საკითხი ჯერ არაა განხილული. ამდენად, არსებობს მის აღსრულებაზე სასამართლოს უარის რისკი, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს მედიაციის ეფექტიანობას.

¹ ცეხცვაძე გ., მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, 2010, 29

² Fritz J. M., Moving toward a just peace, the mediation continuum, „Springer“, New York, London, 2014, 4.

³ Chi S., The Role of Mediation in Trademark Disputes, American Journal of Mediation, Vol. 2, 2008, 121.

⁴ გაკაშვილი ს., მედიაციის, ხოგოხც დავის აღგუხნატიული გადაწყვეტის ფოხმის, მნიშვნელობა კოდექტიუხი შიომითი დავის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული, თბილისი, 2014, 50.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მედიაცია, როგორც ნებაყოფლობითი პროცესი საერთოდ არ ითვალისწინებს, სავალდებულოდ იურისტების მონაწილეობას, რომლებსაც აქვთ შესაბამისი პროფესიული ცოდნა შეაფასონ სამედიაციო მორიგების შინაარსის კანონიერება და გაითვალისწინონ მის აღსრულებისთვის კანონით დადგენილი წინაპირობები.

ამდენად, სასამართლო და კერძო სამედიაციო მორიგების აღსრულება კომპლექსური საკითხია, რაც საკანონმდებლო და პრაქტიკულ პრობლემებს უკავშირდება. წინამდებარე სტატიის მიზანია დასმული პრობლემების გადაჭრის გზების წარმოჩენა, როგორც ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის, ისე სასამართლო პრაქტიკის კვლევის გზით.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია: ნორმატიულ-დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი, ანალიზის, სინთეზის, ინდუქციური, დედუქციური და ლოგიკური კვლევის მეთოდები.

II. სასამართლო და კერძო მედიაციის ურთიერთმიმართება

1. სასამართლო მედიაციის ცნება და მისი დაწყების საფუძვლები

მედიაცია ნეიტრალური მესამე პირის მონაწილეობით წარმართული მოლაპარაკების პროცესია,¹ რაც სასამართლო დავისგან განსხვავებით ნებაყოფლობითობის პრინციპზე დაყრდნობით ხორციელდება.² მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა კონფლიქტის ამონურვისკენაა მიმართული³ მხარეთა ინტერესებისათვის ყველაზე ხელსაყრელი საშუალებით.⁴ მისი მთავარი არსი და დანიშნულება მხარეთა სოციალური ურთიერთობების აღდგენასა და შენარჩუნებაში მდგომარეობს.⁵

სასამართლო მედიაციის ლეგალურ დეფინიციას გვთავაზობს „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, რომელთა ანალიზის თანახმად სასამართლო მედიაცია წარმოადგენს სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემდეგ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, სასამართლოს მიერ მედიატორისთვის საქმის გადაცემის შედეგად დაწყებულ პროცესს, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით⁶ ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას.

კერძო მედიაციისგან განსხვავებით სასამართლო მედიაციის დაწყება ხორციელდება მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187³-ე მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლით. სასამართლო მედიაცია შეიძლება გავრცელდეს საოჯახო სამართლებრივ დავებზე (გარდა შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული და-

¹ Keltner J. W. (S), Mediation Toward a Civilized System of Dispute Resolution, Illinois, 1996, 11, <https://books.googleusercontent.com/books/content?req=AKW5QacOd1U7tVUJAOEP9cUe0aghBzs-DwQf9DCO6Ctohz9VEgTuYq6lZtLrjyGJHaKs3lly7VtoEjhAwfun9aaoTtppCOH1ajEcTrkNGpqpXfRxlqxTTU4llVAVLYJvudRI0qAGLcl-9KfbSk8wUeSjxktCI9_Dk_NnErB--aEXkgj__ydNC6Pz9E3h8zaknNddb8OhxeUWF7-mWbe-SGxWAXxD6Lfk_ExQEuLM2CCU22a8HYCotXM> [29. 04. 2023].

² Gore N., Handbook on Mediation, Bhil., 2021, 5, https://www.google.ge/books/edition/Handbook_on_Mediation/-WsYEAAAQBAJ?hl=ka&gbpv=1&dq=mediation&printsec=frontcover [29. 04. 2023].

³ Spencer D., Brogan M., Mediation Law and Practice, Cambridge, 2006, 9, <https://www.google.ge/books/edition/Mediation_Law_and_Practice/msjLCgAAQBAJ?hl=ka&gbpv=1&kptab=overview> [29.04.2023].

⁴ Weinstein R. J., Mediation in the Workplace, A Guide for Training, Practice and Administration, London, 1967, 5, <https://www.google.ge/books/edition/Mediation_in_the_Workplace/3Aijkfip6TIC?hl=ka&gbpv=1> [29. 04. 2023].

⁵ ცეხცვაძე გ., ახვავაძე მ., ვასაძე ე., თვაუჩი ხ., ივანიძე გ., მახაუჩი პ., ჟიჟიაშვილი თ., ტაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბღაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, 2013, 13.

⁶ Waller S., Court Enforcement of Mediated Agreements: Should contract law be applied? The Judges Journal, №31(1), 1992, 14.

ვებისა), სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებზე, სამეზობლო სამართლებრივ დავებზე, შრომით სამართლებრივ დავებზე (გარდა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებული კოლექტიური დავისა), საზიარო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ დავებზე, ქონებრივ დავებზე, თუ დავის საგნის ღირებულება 20 000 ლარს არ აღემატება, საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან) გამომდინარე დავებზე, თუ დავის საგნის ღირებულება 10 000 ლარს არ აღემატება, არაქონებრივ დავებზე, ასევე ნებისმიერ სხვა დავაზე – მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.¹

შესაბამისი საფუძვლის არსებობისას მოსამართლე წინასწარ აფასებს დავის ფაქტობრივ გარემოებებს და მხარეთა თანხმობის გარეშე გადასცემს დავას სასამართლო მედიაციას, გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც საქმეზე მხარეებმა ერთხელ უკვე უშედეგოდ გამოიყენეს კერძო მედიაცია.

სასამართლოს მიერ მედიაციისთვის საქმის გადაცემის უმთავრეს კრიტერიუმად დავის „მედიაციარუნარიანობა“ უნდა მივიჩნიოთ, რაც გულისხმობს საქმის ურთიერთშეთანხმებით დასრულების პოტენციური რესურსის არსებობას. იმ შემთხვევაში თუ ამგვარი რესურსი საქმეს არ გააჩნია ეფექტური მართლმსაჯულების პრინციპიდან გამომდინარე სასამართლომ დავა მედიაციას არ უნდა გადასცეს. აღნიშნულს ადგილი აქვს ძირითადად იმ შემთხვევაში, როდესაც მხარისათვის მნიშვნელოვანია, არა პროცესის სიიარაღე, კომპრომისი, სამომავლო ურთიერთობები ან მორიგება, არამედ სამართლიანობა.²

სასამართლო მედიაციის ფარგლებში დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში მხარეები ადგენენ სამედიაციო მორიგებას, რომელსაც ხელს აწერს მედიატორიც. სამედიაციო მორიგება, მისი აღსრულების მიზნით წარედგინება იმ სასამართლოს, რომელმაც საქმე გადასცა მედიაციას. სასამართლო ცალკე განჩინების ფორმით იღებს გადაწყვეტილებას სამედიაციო მორიგების აღსრულებასთან დაკავშირებით.

2. კერძო მედიაციის ცნება და მისი დაწყების საფუძვლები

სასამართლო მედიაციის მსგავსად კერძო მედიაციის ლეგალური დეფინიცია დადგენილია „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის „ა)“ და „გ)“ ქვეპუნქტების თანახმად კერძო მედიაცია არის სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისათვის გადაცემის გარეშე, მედიაციის თაობაზე შეთანხმების საფუძველზე მხარეთა ინიციატივით დაწყებული პროცესი მისი სახელწოდების მიუხედავად, რომლის საშუალებითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას.

კერძო მედიაციის პროცესში მედიატორად შეიძლება შეირჩეს მხოლოდ ერთიან რეესტრში რეგისტრირებული მედიატორი.³ მისი ფუნქციაა ხელი შეუწყოს ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პროცესს მისი სუბიექტური აღქმების, შეხედულებებისა თუ მოსაზრებების

¹ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, 187³-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1106, 14/11/1997, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=157>> [29. 04. 2023].

² გუჩიელი ა., სასამართლო და არასამართლო მედიაციის ურთიერთმიმართება, სასამართლო მედიაციის ფორმების გამიჯვნის აუცილებლობა საქართველოში და მოსამართლის უფლებამოსილება თითოეულის წარმართვისას, ჟურნ. სამართალი და მსოფლიო, №12, თბილისი 2019, 41, <<http://www.library.court.ge/upload/N12%20samartali%20da%20msoplio.pdf>> [29. 04. 2023].

³ საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ მე-4 მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4954-1ს, 18/09/2019, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2>> [02.05.2023].

მიუხედავად. შუამავალი არ იღებს გადაწყვეტილებას და არ გააჩნია ხელმძღვანელობის ან კონტროლის უფლებამოსილება.¹

კერძო მედიაციის დაწყების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს მხარეთა შეთანხმება მედიაციის თაობაზე, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, არ მიმართონ სასამართლოს ან არბიტრაჟს განსაზღვრული ვადის ან გარემოების დადგომამდე, სასამართლო ან არბიტრაჟი არ განიხილავს დავას მედიაციის თაობაზე შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსარჩელე ადასტურებს, რომ სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვის გარეშე მას გამოუსწორებელი ზიანი მიადგება.²

გასათვალისწინებელია, რომ კანონი მედიაციის თაობაზე შეთანხმების ნამდვილობას, სავალდებულო, წერილობით ფორმას უკავშირებს, რომელიც შეიძლება დაიდოს, როგორც დავის წარმოშობამდე ისე მის შემდეგ. კერძო მედიაციის პროცესის დასაწყებად საკმარისია ერთ-ერთი მხარის მიერ მედიატორისთვის მიმართვა, რაც ამავდროულად წარმოადგენს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძველს.

სასამართლო მედიაციის მსგავსად კერძო მედიაციის შედეგად დადებული სამედიაციო მორიგება ასევე ექვემდებარება აღსრულებას. აღსრულების საკითხს იხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის ან/და იურიდიული მისამართის მიხედვით და თავის გადაწყვეტილებას გამოსცემს განჩინების ფორმით.³

III. სამედიაციო მორიგება, როგორც სამოქალაქო გარიგება

1. სამედიაციო მორიგების ცნება

სამედიაციო მორიგება მედიაციის მონაწილეთა ურთიერთშეთანხმების აქტია, რომელიც მხარეთა ნების მაქსიმალური გათვალისწინებით და კანონიერი გზით წყვეტს მხარეთ შორის არსებულ უთანხმოებას.⁴ სამედიაციო მორიგების ლეგალურ დეფინიციას გვთავაზობს „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი. მითითებული კანონის მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად სამედიაციო მორიგება განიმარტება, როგორც „მედიაციის შედეგად დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების შესახებ წერილობითი დოკუმენტი, რომლის შესრულება სავალდებულოა.“⁵ მითითებული განმარტებით გაზიარებულია გაერთიანებული ერების კომისიის (UNCITRAL) მოდალური კანონის (შემდგომში-მოდალური კანონი) მიდგომა სამედიაციო მორიგების შესასრულებლად სავალდებულოობის თაობაზე,⁶ რაც მის აღსრულებადობას განაპირობებს. ანალოგიური პოზიციაა განმტკიცებული „მედიაციის შედეგად

¹ Keltner J. W. (S), Mediation Toward a Civilized System of Dispute Resolution, Illinois, 1996, 11, <https://books.googleusercontent.com/books/content?req=AKW5QacOd1U7tVUJAQEP9cUe0aghBzs-DwQf9DCO6Ctohz9VEgTuYq6lZtLrjyGJHaKs3lly7VtoEjhAwfun9aqoTtpCOH1ajEcTrkNGpQXfRxsIqxTTU4llVAVLYjvudRI0qAGLcl-9KfbSk8wUeSjxktCI9_Dk_NnErB--aEXkgj_vdNC6Pz9E3h8zaknNddb8OhxeUWF7-mWbe-SGxWAXxD6LFK_ExQEuLM2CCU22a8HYCotXM> [02.05.2023].

² საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ მე-7 მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4954-ის, 18/09/2019, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2>> [02.05.2023].

³ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, XLIV¹³ თავი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=158>> [02.05.2023].

⁴ მამიაშვიდი თ., მოსამართლის ფუნქცია სამოქალაქო საქმისწარმოების მორიგებით დამთავრებისას და შედეგები, რომელიც მიიღწევა მორიგებით, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწადული, თბილისი, 2018-2019, 85.

⁵ საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4954-ის, 18/09/2019, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2>> [05.05.2023]

⁶ UNCITRAL Model Law on International Commercial Mediation and International Settlement Agreements Resulting from Mediation with Guide to Enactment and Use (2018), Article 15, <UNCITRAL Model Law on International Commercial Mediation and International Settlement Agreements Resulting from Mediation with Guide to Enactment and Use (2018)> [05. 05. 2023].

მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენციის მე-3 მუხლით.¹

მორიგება საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა შორის არსებული კონფლიქტის აღმოფხვრისა და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის დამყარებისკენა მიმართული.² ის წარმოშობს წყვეტს ან აწესრიგებს, მხარეთა სამართლებრივ ურთიერთობებს და შესაბამისად წარმოადგენს სამოქალაქო გარიგებას. სამედიაციო მორიგება, როგორც სამოქალაქო გარიგება მხარეთა კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების გამოვლენის შედეგია³ და ყოველთვის ნებლობითი ხასიათის მატარებელია.⁴ მეორე მხრივ, სამედიაციო მორიგება არ შეიძლება გავაიგივოთ კლასიკურ სამოქალაქო გარიგებასთან. მართალია, ის ატარებს სამოქალაქო გარიგების ყველა ელემენტს, მაგრამ მისგან აღსრულების განსხვავებული რეჟიმით განსხვავდება.

2. სამედიაციო მორიგების ფორმა

სამედიაციო მორიგებისთვის, როგორც აღსრულებაუნარიანი დოკუმენტისთვის, სავალდებულო წერილობითი ფორმის დაცვა არამხოლოდ საკანონმდებლო, არამედ ეგზისტენციალურ აუცილებლობას წარმოადგენს. სამედიაციო მორიგების წერილობითი ფორმალიზაცია ემსახურება მისი შინაარსის შენარჩუნების მიზანს, ამდენად მოცემულ შემთხვევაში ფორმის მიზანი იგივეა რაც, რაც შინაარსის.⁵ ამავდროულად, წერილობით ფორმა წარმოადგენს მითითებული მიზნის მისაღწევად შერჩეულ შესაბამის საშუალებას, რომლის გამოყენების გარეშე სამედიაციო მორიგების შინაარსის შენარჩუნება მნიშვნელოვნად გართულდებოდა და პრაქტიკაში მისი იძულებითი აღსრულებაც, პრაქტიკულად, გამოირიცხებოდა.

სამედიაციო მორიგების წერილობით ფორმას, ასევე აქვს გარიგების ფორმისთვის დამახასიათებელი სხვა ფუნქციებიც (სიცხადის, განზრახვის სერიოზულობის/გაფრთხილების, მკაფიოობის, მტკიცების, კონტროლის, აღსრულებადობის და სხვ.).⁶ სამედიაციო მორიგების ფორმასთან მიმართებით ვერ იქნება გაზიარებული იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად სავალდებულო დადგენილი ფორმის დაცვა აფერხებს სამართლებრივი ურთიერთობების სწრაფ და ეფექტურ განვითარებას,⁷ ვინაიდან სავალდებულო წერილობითი ფორმის დაწესება მაღალი სამართლებრივი ინტერესითაა განპირობებული,⁸ რაც უპირველესად სამედიაციო მორიგების აღსრულებაში გამოიხატება.

3. სამედიაციო მორიგების აღსრულებისთვის დადგენილი გამარტივებული სამართლებრივი რეჟიმით ბოროტად სარგებლობის საფრთხე სხვა სამოქალაქო გარიგებებთან მიმართებით

¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენცია, „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ“, მე-3 მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 666-IVმს-XXმპ, 22/06/2021, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5522480?publication=0>> [05.05.2023].

² *მამიაშვილი თ.*, მოსამართლის ფუნქცია სამოქალაქო საქმისწარმოების მორიგებით დამთავრებისას და შედეგები, რომელიც მიიღწევა მორიგებით, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწადი, თბილისი, 2018-2019, 86.

³ *ჭანგუჩია დ.*, სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის კომენტარი, წიგნში: სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, (რედ. *ჭანგუჩია დ.*), თბილისი, 2017, 286.

⁴ *თუმანიშვილი გ.*, გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატული რეგულირება), თბილისი, 2012, 11.

⁵ *Stinchcombe A. L.*, When Formality Works: Authority and Abstraction in Law and Organizations, University of Chicago Press, Chicago, 2001, 2-3.

⁶ *ამიხანაშვილი გ.*, გარიგების ფორმის ფუნქციები, სამართლის ჟურნალი №1, თბილისი, 2016, 50-60.

⁷ *ძღიფიშვილი ზ.*, *ცხიკვაძე გ.*, *ხობაქიძე ი.*, *სვანაძე გ.*, *ცხიკვაძე დ.*, *ჭანაშია დ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 89.

⁸ *მესხიშვილი ქ.*, გარიგების ფორმის ფუნქცია (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), ჟურნ.: ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, VIII გამოცემა, თბილისი, 2018, 58.

სამედიაციო მორიგება აღსრულებადი დოკუმენტია, რომელსაც განჩინებით ამტკიცებს სასამართლო და გასცემს სააღსრულებო ფურცელს. შესაბამისად, ის უფრო მეტია ვიდრე სტანდარტული სამოქალაქო გარიგება. ამავდროულად, მათ შორის არსებული ზღვარი ძალიან მცირეა, რაც წარმოშობს სამედიაციო მორიგებისათვის გათვალისწინებული სამართლებრივი რეჟიმით ბოროტად სარგებლობის საფრთხეს სხვა სტანდარტული სამოქალაქო გარიგების დადების მსურველთათვის, რათა სასამართლო დავის გვერდის ავლით პირდაპირ აღსრულებაუნარიანი გახადონ მათი გარიგება და სტანდარტული სამოქალაქო შეთანხმება წარმოადგინონ, როგორც სამედიაციო მორიგება. ამ რისკის პრევენციის მექანიზმები ძალიან მცირეა და პრაქტიკულად მხოლოდ მედიატორის პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებაზე დამოკიდებული.

ამასთან, აღნიშნული პრობლემა ძირითადად დგას მხოლოდ კერძო მედიაციის შემთხვევაში, ვინაიდან სასამართლო მედიაციის პროცესამდე დავის საგანი და საფუძვლები სასამართლოს მიერ უკვე წინასწარ იდენტიფიცირებული და შემოწმებულია.

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად მედიაცია არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას. ამდენად, მედიაცია მიმართული უნდა იყოს მხოლოდ დავის დასასრულებლად იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას და არა სამოქალაქო გარიგების მარტივად აღსრულებადობის უზრუნველყოფ მექანიზმს. ამ გარემოების გათვალისწინებით პრაქტიკაში მედიაციის დაწყებამდე აუცილებელია მედიატორმა კარგად შეამოწმოს მედიაციის დაწყების მიზანი. მართალია, კერძო მედიაცია ერთ-ერთი მხარის მიმართვით იწყება,¹ თუმცა მისი საფუძველია სამედიაციო შეთანხმება, რომლითაც უნდა დასტურდებოდეს მხარეთა წინარე ურთიერთობა, რათა გამოირიცხოს მედიაციისთვის თვალთმაქცურად მიმართვის რისკი.

3.1. თვალთმაქცური სამედიაციო მორიგება

სამოქალაქო კოდექსი თვალთმაქცურ გარიგებად მიიჩნევს მხოლოდ ისეთ გარიგებას, რომლითაც მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა. ამდენად, ის აქცენტს აკეთებს გარიგების შინაარსზე და არა ფორმაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ თვალთმაქცური გარიგების დროს, მართალია, ნების გამოვლენა მიმართულია სამართლებრივი შედეგების დადგომისაკენ, თუმცა, არა იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომელზეც მხარეები თანხმდებიან.² ამგვარი გარიგების მიზანს წარმოადგენს იმ გარიგების დაფარვა, რომლის მიღწევის სურვილი მხარეებს რეალურად გააჩნიათ.³ ამ შემთხვევაში არსებობს ორი გარიგება, ერთი თვალთმაქცური და მეორე – რომელიც მხარეებმა უშუალოდ გაითვალისწინეს.⁴ ამდენად, თვალთმაქცური გარიგება ერთგვარად ფარავს ნამდვილ გარიგებას, შესაბამისად, მას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი და იგი ბათილია.⁵ კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია მხარეთა რეალური ნების შესაბამის სამართლებრივ ფორმაში გამოხატვის წა-

¹ წუღაძე ა., „სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში“, სადისერტაციო ნაშრომი, „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 2016, 82.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-487-461-2015.

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 23 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-677-2021.

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 06 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-743-704-2015.

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1212-1138-2015.

ხალისებით.¹ ხშირ შემთხვევაში, მხარეები ვერ ერკვევიან, რა შინაარსის ხელშეკრულების გაფორმება სურთ ან კიდევ ვერ ასხვავებენ ერთმანეთისაგან გარიგების სხვადასხვა ტიპებს.² სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლობას ანიჭებს ხელშეკრულების სუბიექტებს, გამოასწორონ დაშვებული შეცდომები თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობით და მხარეთა შეთანხმების მიმართ გამოიყენონ ის მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია იმ გარიგებისათვის, რომლის მიღწევაც მხარეებს სურდათ.³ სასამართლოს ამგვარი განმარტებით თვალთმაქცურობის შეფასებისას ძირითად მნიშვნელობას ანიჭებს გარიგების შინაარსიდან გამომდინარე უფლებებსა და მოვალეობებს და არა ამ უფლებების რეალიზების ფორმას.

სამედიაციო მორიგების თვალთმაქცურად დადებისას კი საკითხი პირიქითაა, ვინაიდან ამ შემთხვევაში მხარეთა მთავარი ინტერესი არა შეთანხმებული პირობების შინაარსია, არამედ მათი აღსრულების ფორმა. სამედიაციო მორიგება შესაძლებლობას აძლევს მხარეებს თავი აარიდონ ხანგრძლივ სასამართლო დავას, რომელიც წლები გრძელდება, თუმცა მედიაციის აღნიშნული უპირატესობა არ უნდა იქნეს ბოროტად გამოყენებული ვინაიდან მედიაცია, როგორც უკვე აღინიშნა უპირატესად დავის გადაწყვეტის მექანიზმია და არა სამოქალაქო გარიგების დადების.

ამდენად, მნიშვნელოვანია, სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვის პროცესში სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს მისი აღსრულების სამართლებრივი რეჟიმის ბოროტად გამოყენების საკითხზე და დარწმუნდეს, რომ სასამართლოსთვის დასამტკიცებლად წარმოდგენილი სამედიაციო მორიგება, რეალურად არ იყოს მოჩვენებითად დადებული სამოქალაქო გარიგება, მხოლოდ იმ მიზნით, რომ იგი პირდაპირ დაექვემდებაროს აღსრულებას. აღნიშნულს ართულებს ის გარემოება, რომ სასამართლო არ წარმოადგენს მედიაციის პროცესის სისწორის მაკონტროლებელ ორგანოს. სასამართლოსთვის მედიატორის მიერ ხელმოწერილი სამედიაციო მორიგების წარდგენა ავტომატურად გულისხმობს მედიაციის, როგორც პროცესის კანონიერებას, რაშიც ასევე მოიაზრება მხარეთა ნების სამედიაციო მორიგების ფორმით გამოხატვის სისწორე.

სასამართლოს ფუნქცია სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესში შეზღუდულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³²-ე მუხლით, რომელიც სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე, უარის თქმის უფლებას სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში ანიჭებს, თუ მისი შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან მისი აღსრულება შეუძლებელია.⁴ ამდენად, მნიშვნელოვანია ნორმის განმარტების პროცესში შინაარსის კანონიერება ფართოდ განიმარტოს და შემოწმდეს სამედიაციო მორიგების ფორმაც, რათა გამოირიცხოს მისი ბოროტად გამოყენების რისკი.

3.2. სამედიაციო მორიგების ბათილობის სამოქალაქო სამართლებრივი საფუძვლები

სამედიაციო მორიგება, როგორც უკვე აღინიშნა სამოქალაქო გარიგების სპეციალურ სახეს წარმოადგენს. შესაბამისად, მასზე ვრცელდება ყველა ის სამართლებრივი რეგულაცია, რაც გარიგებისთვისაა დადგენილი. სამედიაციო მორიგების აღსრულების მიზნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ნამდვილობა სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. მითუმეტეს, რომ სამედიაციო მორიგების კანონშესაბამისობა მისი აღსრულების საკითხის განხილვის პროცესში სასამართლოს მიერ შესაფასებელი ერთ-ერთი ძირითადი გარემოებაა.⁵ სამო-

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 23 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1174-2022.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 06 აგვისტოს განჩინება საქმეზე №ას-612-2021.

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 24 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1217-2021.

⁴ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, 363³²-ე მუხლი პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=158>> [10.05.2023].

⁵ იქვე.

ქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი გარიგების ბათილად ცნობის სამ მთავარ საფუძველს გამოყოფს, რომლებსაც მიეკუთვნება გარიგების წინააღმდეგობა: კანონთან, საჯარო წესრიგთან და ზნეობის ნორმებთან.

3.3. კანონსაწინააღმდეგო სამედიაციო მორიგება

„ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.“¹ კანონით დადგენილ წესებსა და აკრძალვებში უნდა მოვიზიაროთ არა მხოლოდ კანონის ფორმით დადგენილ სამართლებრივ რეჟიმთან შეუსაბამობა, არამედ კანონქვემდებარე აქტებთან წინააღმდეგობაც,² ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობას საკანონმდებლო აქტებთან ერთად ქმნის კანონქვემდებარე აქტებიც.³ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კანონსაწინააღმდეგობა სამართალშეფარდების პროცესში განიხილება გარიგების შედეგთან მიმართებით ვინაიდან მისი მართლსაწინააღმდეგოდ კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია გარიგების ნეგატიური, კანონსაწინააღმდეგო შედეგი.⁴ აღნიშნული ასევე უკავშირდება მხარეთა კეთილსინდისიერების ვალდებულებასაც, რომელიც განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის მიმართულებას კანონის ფარგლებში.⁵

სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვა სასამართლოს ქვემდებარე საქმეს იმიტომ განეკუთვნება, რომ არ მოხდეს კანონსაწინააღმდეგო სამედიაციო მორიგების აღსრულება. გასათვალისწინებელია, ის გარემოებაც, რომ მედიატორი ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია არც იყოს იურისტი და არ გააჩნდეს სპეციალური ცოდნა გარიგების შინაარსის კანონშესაბამისობის განსაზღვრად. ამგვარი დასკვნის საშუალებას იძლევა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი, რომელიც იურიდიულ განათლებას მედიატორობის წინაპირობად არ გამოყოფს. ამდენად, სწორედ მოსამართლე ხდება იმ კვალიფიციური სამართლებრივი ექსპერტიზის ჩამტარებელი, რომლითაც დგინდება სამედიაციო მორიგების შინაარსის კანონიერება.

სასამართლოს უარი არაკანონიერი სამედიაციო მორიგების აღსრულებასთან დაკავშირებით ეფუძნება იმ გარემოებას, რომ სამედიაციო მორიგება სამოქალაქო სამართლებრივი თვალსაზრისით ბათილია. ბათილი გარიგება კი არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგებს.⁶

3.4. საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო სამედიაციო მორიგება

საჯარო წესრიგის ლეგალურ დეფინიციას კანონმდებლობა არ განამტკიცებს, თუმცა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესის მიზანს სწორედ იმგვარი გარიგებების თავიდან აცილება წარმოადგენს, რომლებიც ფორმალურად კანონსაწინააღმდე-

¹ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, 54-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=123> [10.05.2023].

² ჭანტურია ლ., სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის კომენტარი, წიგნში: სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, (რედ. ჭანტურია ლ.), თბილისი, 2017, 316

³ საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მე-7 მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 33, 09/11/2009, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052?publication=37>> [11.05.2023].

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 25 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1097-2021.

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 20 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1548-2019.

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-189-182-2013.

გო არ არის, თუმცა, თავისი არსით, საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა თანაცხოვრებას აუარესებს, რაც შედეგობრივად, სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს.¹ საჯარო წესრიგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც პროცესუალური ისე მატერიალური კატეგორია, რომლის ფარგლებშიც პროცესუალური საჯარო წესრიგი მიემართება ფორმას, მატერიალური კი შინაარს.² იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით სამოქალაქო სამართლებრივი გაგებით საჯარო წესრიგში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და მენარმეობის თავისუფლებანი და სხვა. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებიც.³ სხვა განმარტებით საჯარო წესრიგი სახელმწიფოს მიერ ეროვნული კანონმდებლობით აღიარებულ მორალისა და სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს მოიცავს.⁴ მართალია, სამედიაციო მორიგების აღსრულებისათვის საჯარო წესრიგთან შესაბამისობის მოთხოვნა (გარდა კოლექტიურ შრომით დავაზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების და საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების საკითხის გადაწყვეტისა), საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისგან განსხვავებით მოთხოვნილი არ არის,⁵ მაგრამ აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზად უფრო უნდა ჩაითვალოს ვიდრე გამართულ სამართლებრივ რეჟიმად. ვინაიდან, საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობა იმთავითვე არის სამედიაციო მორიგების, როგორც სამოქალაქო გარიგების ბათილობის საფუძველი და შესაბამისად მისი აღსრულების გამომრიცხველი გარემოება.

3.5. ზნეობის საწინააღმდეგო სამედიაციო მორიგება

სამედიაციო მორიგების, როგორც სამოქალაქო გარიგების ბათილობის ერთ-ერთ საფუძველს ზნეობის ნორმებთან წინააღმდეგობა წარმოადგენს.⁶ გარიგება ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, როდესაც იგი არსებითად არღვევს ერთ-ერთი მხარის ინტერესებს და არათანაბარ პირობებში აყენებს მათ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელშეკრულება ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზეა დადებული.⁷

აღნიშნულ საკითხზე უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას კანონთან ერთად უზრუნველყოფს, ასევე-მორალური ქცევის სტანდარტიც.⁸ შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში კერძო ავტონომიისა და თავისუფალი კონტრაქტების პრინციპი მოქმედებს, გარიგება, რომე-

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 28 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1050-2020.

² *გყემადაძე ს.*, "საჯარო წესრიგი" როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), ჟურნ. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, თბილისი, 2012, 16-18.

³ *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის კომენტარი, წიგნში: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I ზოგადი დებულებანი (მთავარი რედ. *ჭანგუჩია დ.*), თბილისი, 2002, 178.

⁴ *ღიპაჩგია ნ.*, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველები საჯარო წესრიგთან მიმართებით, წიგნში: ზურაბ ახვლედიანი 80 (რედ.: *ძღიეჩიშვილი ზ.*, *ქავთაჩაძე ს.*), თბილისი, 2013, 132.

⁵ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 45, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 13, 02/07/2009, <<https://matsne.gov.ge/document/view/89284?publication=8>> [18.05.2023].

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1224-1149-2015.

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 18 იანვრის განჩინება საქმეზე №ას 679-2021.

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-802-2020.

ლიც საზოგადოებაში „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“ ეწინააღმდეგება, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება.¹

ამ გარემოების გათვალისწინებით სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე გარიგების ზნეობის საწინააღმდეგოდ მისაჩვენად სამართლებრივად უნდა შეფასდეს არა გარიგების მონაწილეთა სუბიექტური ქცევა/ქმედება, არამედ თავად გარიგების ობიექტური შინაარსის შესაბამისობა ზნეობის ნორმებთან.² ამდენად, მთავარ შესაფასებელ გარემოებას გარიგების შინაარსი და არა კონტრაქტის სუბიექტური ცოდნისა და შეხედულებები წარმოადგენს.³ მხარეთა „კეთილსინდისიერება“, რაც გარიგების შინაარსის ამორალურობის არცოდნაში ვლინდება მისი ბათილობისათვის შეზღუდვას არ ქმნის.⁴

საწინააღმდეგო მოსაზრების თანახმად დაუშვებელია შინაარსობრივი კრიტერიუმების არარსებობის გამო გარიგების ბათილობის საზომად ზნეობის გამოყენება.⁵ ამასთან, ხელშეკრულება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ზნეობრივ ნორმებთან შეუსაბამოდ, როდესაც მოქმედებასა და საპირისპირო მოქმედებას შორის აშკარა შეუსაბამობა მოგვიანებით წარმოიშობა.⁶ სხვა მოსაზრებით კი, ზნეობის ნორმებთან წინააღმდეგობის საფუძველით გარიგების ბათილობა მაშინ უნდა განხორციელდეს, როცა ის არღვევს იურიდიულად მნიშვნელოვან ინტერესებს.⁷

ლიტერატურაში არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა დღემდე აღიარებს ზნეობრივ ნორმებთან შესაბამისობას გარიგების ნამდვილობის წინაპირობად. აღნიშნული ასევე მნიშვნელოვანია სამედიაციო მორიგების მიზნებისათვის, რაც მედიაციის მონაწილეებს სასამართლო ლეგიტიმაციის მისაღებად ავალდებულებს მათი შეთანხმების ზნეობის ფარგლებში მოქცევას.

IV. სასამართლოს როლი სამედიაციო მორიგების აღსრულებაში

1. ნებაყოფლობითობის პრინციპი სამედიაციო მორიგების აღსრულებასთან მიმართებით

მედიაცია ნებაყოფლობითი პროცედურაა,⁸ რომელშიც მხარეები საკუთარი ინიციატივით ერთვებიან⁹ და თავიანთი შეხედულებით წარმართავენ, რაც მხარეთა ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებული შედეგის მიღწევას განაპირობებს.¹⁰ მედიატორს, როგორც შუამავალს არ

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მაისის განჩინება საქმეზე №ას-212-201-2017.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-497-2019.

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1215-2018.

⁴ *დაჩუანია თ.*, რა არის მევახშეობა? (მევახშეობის თანამედროვე გაგება და მისი ხელშემწყობი საკანონმდებლო და არასაკანონმდებლო ფაქტორები): წიგნში: ზურაბ ახვლედიანი 80 (რედ.: *ძღიეხიშვილი ზ., ქავთაიაძე ს.*) თბილისი, 2013, 66.

⁵ *კეხესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 280.

⁶ *დაჩუანია თ.*, რა არის მევახშეობა? (მევახშეობის თანამედროვე გაგება და მისი ხელშემწყობი საკანონმდებლო და არასაკანონმდებლო ფაქტორები): წიგნში: ზურაბ ახვლედიანი 80 (რედ.: *ძღიეხიშვილი ზ., ქავთაიაძე ს.*) თბილისი, 2013, 66.

⁷ ზარანდია თ., ჯუღელი თ., ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ.: მართლმსაჯულება და კანონი, №4 თბილისი, 2006, 77.

⁸ *ტაკაშვილი ს.*, მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმის, მნიშვნელობა კოლექტიური შრომითი დავის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწადური, თბილისი, 2014, 51.

⁹ *კოვაკი კ.*, ადვოკატთა მოვალეობები და პასუხისმგებლობა დავის გადაწყვეტისას, კეთილსინდისიერება მედიაციაში - თხოვნის, რეკომენდაციის თუ მოთხოვნის სახით დადგენილი? ახალი ეთიკა, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწადური, თბილისი, 2014, 299.

¹⁰ *ჩიგაშვილი ნ.*, სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვევების საფუძველი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწადური, თბილისი, 2016, 11.

აქვს უფლება ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება დავასთან დაკავშირებით. მას შეუძლია შეასრულოს მხოლოდ ფასილიტატორის ფუნქცია, მხარეთა ემოციური ფონის უარყოფითი გავლენის შესუსტებისა¹ და მათთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების² გზით ხელი შეუწყოს მხარეებს გადაწყვეტილების მიღებაში.³ ამ გარემოების გათვალისწინებით სამედიაციო მორიგება უფრო მეტად ასახავს მხარეთა ინტერესებს, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილება და შესაბამისად მისი ნებაყოფლობითი აღსრულების შესაძლებლობაც გაცილებით მაღალია.⁴ დავის ფორმალური პროცედურებისგან განსხვავებით მედიაციაში მთავარი აქცენტი კეთდება მხარეთა საჭიროებებზე და არა უფლებებზე.⁵ ამდენად, მედიაციის შედეგად გვარდება არამხოლოდ სამართლებრივი დავები, არამედ მხარეთა პიროვნული ურთიერთობის პრობლემებიც.⁶ ამ გარემოების გათვალისწინებით სამედიაციო მორიგების მიმართ მხარეებს უფრო მეტი მიმღეობა აქვთ.

მედიაციის ნებაყოფლობითობა მის ყველა ეტაპზე ვრცელდება⁷ მათ შორის სამედიაციო მორიგების აღსრულების ეტაპზეც, რაც არ გულისხმობს მისი შეუსრულებლობის უფლებას. შედარებისთვის კატარის სახელმწიფოში, აპრობირებულ პრაქტიკას წარმოადგენს სამედიაციო მორიგებით კონკრეტული საჯარიმო ფულადი თანხის განსაზღვრა, რომელიც დაეკისრება მხარეს სამედიაციო მორიგების ნებაყოფლობით აღსრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში.⁸ სამედიაციო მორიგების აღსრულების მხოლოდ მხარეთა კეთილი ნების იმედად დატოვება წინააღმდეგობაშია ასევე „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენციასთან, რომლის თანახმად სამედიაციო მორიგება შესასრულებლად სავალდებულოა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ნებაყოფლობითობა სამედიაციო მორიგების აღსრულების მნიშვნელოვანი, მაგრამ არასაკმარისი ელემენტია. მედიაციის ქმედითობის შესანარჩუნებლად სამედიაციო მორიგების იძულებითი აღსრულების ბერკეტის არსებობა აუცილებელია.

2. სასამართლო იძულება, როგორც სამედიაციო მორიგების აღსრულების გარანტი

მედიაციის პროცესის თავისებურებებიდან გამომდინარე, სამედიაციო მორიგების ნებაყოფლობითი აღსრულების მოლოდინი ძალიან მაღალია. აღნიშნულის მიუხედავად მისი იძულებითი აღსრულების სამართლებრივი ბერკეტის არსებობა უპირატესად სამართლებრივი სტაბილურობის, მხარეთა ინტერესების დაცვისა და მედიაციის ინსტიტუტისადმი ნდობის ამაღლების გარანტია. სწორედ ამიტომ სამედიაციო მორიგება, რომლის აღსასრულებლადაც გამოტანილია სასამართლოს განჩინება და გაცემულია სააღსრულებო ფურცელი აღსრულების ქვემდებარე აქტს წარმოადგენს.⁹

¹ ვაშაკიძე მ., თახხნიშვილი ქ., ჯობაძე ნ., ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა მედიაციის პროცესში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადური, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2018, 94.

² Sawicki S. C., Mediation: The Dance and The Deal, American Journal of Mediation, Vol.2, 2008, 35.

³ ჩიგაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, სამართლის ჟურნალი №2, თბილისი 2016, 38.

⁴ ბახნაბიშვილი გ., წიკდაუხი ს., სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწადური, თბილისი, 2016, 8.

⁵ Jerningan M., Lord R. B., The Mediator's Role in The Family Business, American Journal of Mediation, vol. 2, 2008, 57.

⁶ ჟოხჟოღიანი დ., ბოდიში და პატიება მედიაციის პროცესში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადური, თბილისი, 2014, 39

⁷ Tsuvina T., Ferz S., The Recognition and Enforcement of Agreements Resulting from Mediation: Austrian and Ukrainian Perspectives, Access to Justice in Eastern Europe, 2022, 35, <att_1668595544.pdf (ajee-journal.com)> [05.06.2023].

⁸ EL Farag M. S. A., The Enforcement of Settlement Agreements Resulting from Mediation – A Qatari Perspective, Asian Business Lawyer, 19, 2017, 55-58.

⁹ საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, მე-2 მუხლის „ყ“ ქვეპუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 13(20), 01/05/1999,

მართალია მხარეებს, რომლებიც წერილობითი ფორმით გამოხატავენ ნებას, უარი თქვან სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ სასამართლო სამართალწარმოებაზე და მის ნაცვლად მიმართონ დავის გადაწყვეტის კერძო საშუალებას, შესაძლოა ჰქონდეთ ლეგიტიმური მოლოდინი იმის თაობაზე, რომ მათ მიერ დავას ალტერნატიული საშუალების გამოყენებით, მიღწეული გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და არ დაექვემდებარება სასამართლოს მიერ გადასინჯვას,¹ მაგრამ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა² სასამართლო და კერძო მედიაციის შედეგად მიღწეული სამედიაციო მორიგების შინაარსის კანონიერებისა და აღსრულებაუნარიანობის საკითხის შემოწმებას სასამართლოს სამართლიანად უქვემდებარებს.

სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია სასამართლო სამედიაციო მორიგების გაფორმების პროცესუალურსამართლებრივი შედეგები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ¹)“ ქვეპუნქტის თანახმად სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ შედგენილ იქნა სამედიაციო მორიგება ან საერთაშორისო სამედიაციო მორიგების მხარემ სასამართლოს წარუდგინა საერთაშორისო სამედიაციო მორიგება, რომლითაც სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია. მითითებული ნორმა საქმის წარმოების შეწყვეტის ფაქტს უკავშირებს სამედიაციო მორიგების არსებობას, თუმცა არ უთითებს სასამართლოს ვალდებულებაზე საქმისწარმოების პროცესის შეწყვეტამდე იმსჯელოს სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნული, შესაძლებელია საკანონმდებლო ხარვეზად მივიჩნიოთ, რაც არ უნდა იყოს ნორმის არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველი, ვინაიდან ნებისმიერი რეგულაციის მიზანი ურთიერთდაპირისპირებული ინტერესების გარკვეული სახით განონასწორებაა³ და არა ახალი სამართლებრივი პრობლემის წარმოქმნა. საკანონმდებლო ხარვეზი, რომელიც სამართლის განვითარების თანმდევ მოვლენად მიიჩნევა,⁴ პრაქტიკაში ნორმათა სწორი ინტერპრეტაციით (არსისა და მიზნის გათვალისწინებით) შეიძლება გასწორდეს.⁵ შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, დაუშვებელია კანონის პირდაპირი, სიტყვა-სიტყვითი განმარტების მეთოდის გამოყენება, ვინაიდან ის აზრს უკარგავს სამართლის სხვა პროცესუალურ ნორმებს.⁶

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ¹)“ ქვეპუნქტის მიზანს საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძვლების განსაზღვრა წარმოადგენს ისეთ შემთხვევებში, როცა დავის გაგრძელება აზრს მოკლებულია ანუ არ არსებობს დავის განხილვის იურიდიული ინტერესი. მითითებული ნორმის გამოყენებისას მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ მიზანი, არამედ მიზანშეწონილობაც.⁷ აღნიშნული, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ თითოეული დებულება არ განიხილება არც შესაბამისი ინსტიტუტებისა თუ ცნებათა სისტემისგან იზოლირებულად, არც სამართლებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელი ფასეულობებისაგან დამოუკიდებლად. ის სამართლიანი და მიზანშეწონილობაზე დამყარებული სამართლებრივი წესრიგის ნაწილია.⁸

ისეთი პროცესუალური მოქმედება, როგორც საქმისწარმოების შეწყვეტაა საჭიროებს არამართო პირდაპირ სამართლებრივ საფუძველს, არამედ ამ სამართლებრივი საფუძვლის

¹ <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=109>> [22.05.2023].

² *Abedian H.*, Judicial Review of Arbitral Awards in International Arbitration – A Case for an Efficient System of Judicial Review, *Journal of International Arbitration*, Vol. 28, Issue 6, Kluwer Law International 2011, 553.

³ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, XLIV¹³ თავი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=158>> [24.05.2023].

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 21 მარტის განჩინება საქმეზე №ა-381-შ-10-2023.

⁵ *კეხესელიძე დ.*, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, თბილისი, 2009, 61.

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 27 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1264-2018.

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-34-2022.

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 28 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-486-486-2018.

⁹ *კეხესელიძე დ.*, „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, თბილისი, 2009, 74.

კანონიერად არსებობის ფაქტობრივ დასაბუთებასაც. ამ გარემოების გათვალისწინებით საქმისწარმოების შესაწყვეტად არ არის საკმარისი მხოლოდ სამედიაციო მორიგების არსებობა. აუცილებელია, ამ სამედიაციო მორიგების კანონიერებისა და აღსრულებადობის დადასტურება სასამართლოს მიერ. სხვა შემთხვევაში საქმისწარმოება შეწყვეტა გამოიწვევს პირის სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას. აღნიშნული უპირატესად ეხება სასამართლო მედიაციას, რომლის დაწყებაც სწორედ სასამართლოს შუამდგომლობის საფუძველზე ხორციელდება.¹ მართალია, მედიატორი თავადაც ამოწმებს სამედიაციო მორიგების შინაარსს, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს, მაგრამ მას არ აქვს სახელმწიფოსგან მოსამართლის მსგავსი ლეგიტიმაციის ხარისხი, რაც მას სასამართლოსგან დამოუკიდებლად პირდაპირ სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილებას მიანიჭებდა. ამ გარემოების გათვალისწინებით სამედიაციო მორიგება აღსასრულებლად სავალდებულო ძალას სასამართლოს მიერ მისი შინაარსის კანონიერებისა და აღსრულებაუნარიანობის დადასტურების შემდეგ იძენს. ამ პროცესის გავლამდე კი დაუშვებელია მის საფუძველზე პირის უფლების შემზღუდველი პროცესუალური მოქმედების განხორციელება, ვინაიდან სამედიაციო მორიგებას ჯერ კიდევ არ აქვს მიღებული სასამართლო ლეგიტიმაცია. შესაბამისად, აუცილებელია თანმდევი პროცესუალური შედეგები მხოლოდ სასამართლო ლეგიტიმაციის შემდეგ წარმოიშვას.

სამედიაციო მორიგება ისეთ გარიგებას წარმოადგენს, რომლის ძალაში შესვლა დამოკიდებულია სასამართლოს მოწონებასა და დამტკიცებაზე. შესაბამისად, როგორც უკვე აღინიშნა სამართლებრივი პროცესი იურიდიული ძალის არმქონე (ნებაყოფლობით შესასრულებელი) გარიგების საფუძველზე ვერ შეწყდება. ნებისმიერ გარიგებას, სამართლებრივი ურთიერთობის წარმოსაშობად, შესაცვლელად ან შესაწყვეტად უნდა გააჩნდეს იურიდიული ლეგიტიმაცია ანუ მისი განხორციელება უნდა იყოს კანონით დაცული. პირობით სამომავლო მოვლენაზე დამოკიდებული გარიგებები უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობენ მხოლოდ ამ პირობის დადგომის შემდეგ.²

სასამართლოს მიერ სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვამდე საქმისწარმოების შეწყვეტის შემთხვევაში ყოველთვის იარსებებს სასამართლოს მიერ მის აღსრულებაზე უარის თქმის რისკი. მითუმეტეს, რომ მედიაციის პროცესში ჩართული მედიატორი და დავის მხარეები შეიძლება არც იყვნენ იურისტები და არ ჰქონდეთ თავიდანვე კანონ-შესაბამისი სამედიაციო მორიგების შედგენისათვის საჭირო კვალიფიკაცია. ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ მხარეები ვერც სასამართლო წესით გააგრძელებენ დავას და ვერც სამედიაციო მორიგებას აღასრულებენ, რაც წარმოადგენს სამართლებრივ ჩიხს უფლებების დაცვის სფეროში, როცა უფლება მატერიალურად არსებობს, მაგრამ მისი პროცესუალური რეალიზება შეუძლებელია.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.³

საკითხს ართულებს ის გარემოებაც, რომ სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვა დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სპეციალური თავით, ცალკე წარმოების სახით. ამავდროულად, იმავე კოდექსის 38-ე მუხლის „ი²“ ქვეპუნქტითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა⁷“ ქვეპუნქტის თანახმად სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ განცხადებისა და საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობისა და აღსრულების

¹ საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ მე-4 მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4954-1ს, 18/09/2019, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=2>> [22.05.2023].

² ჭანტუა დ., სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლის კომენტარი, წიგნში: სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, (რედ. ჭანტურია ლ.), თბილისი, 2017, 529-530

³ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, 173-ე მუხლის მე-2 ნაწილი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=158>> [22.05.2023].

შესახებ განცხადების განხილვისთვის ცალკეა დადგენილი სახელმწიფო ბაჟი, რაც ნორმათა სისტემური განმარტების მიხედვითაც ტოვებს განცდას, რომ აღსრულების საკითხის განხილვა უნდა მოხდეს ძირითადი საქმისგან იზოლირებულად ცალკე წარმოების ფარგლებში.

როგორც უკვე აღინიშნა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს კერძო და სასამართლო მედიაციის შემთხვევებს. მოცემულ შემთხვევაში კი განხილვის ამგვარი წესი რელევანტურად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ კერძო მედიაციასთან მიმართებით, როდესაც სასამართლოში დავა საერთოდ არ მიმდინარეობს და მისი გადაწყვეტა მედიაციის მეშვეობით ხდება. იმ შემთხვევაში კი, როცა საქმე გვაქვს სასამართლო მედიაციასთან წარმოების ცალკე წესი არ უნდა იქნეს გამოყენებული. აღნიშნული თანხვედრაშია სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების პრინციპთან, რაშიც უპირველესად საქმის გონივრულ ვადაში განხილვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ქმედითი ბერკეტების უზრუნველყოფის აუცილებლობა იგულისხმება.¹

ამასთან, გაუმართლებელია ერთი და იგივე საქმის სხვადასხვა ეტაპი ჩატარდეს ცალკე წარმოებების სახით მითუმეტეს რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მიმართულია არა საქმის გაყოფის, არამედ გაერთიანებისაკენ. ამ კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „თუ სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ წარმოებად ერთად განხილვისათვის, თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა.“² იმ შემთხვევაშიც კი თუ სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვა ცალკე წარმოების სახით განხორციელდება სასამართლო მედიაციის დროს, სასამართლო ვალდებულია არ შეწყვიტოს ძირითადი საქმის წარმოება სანამ არ მოხდება მხარეთა მიერ შედგენილი სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვა.

საწინააღმდეგო განმარტება მითითებულ საკითხთან დაკავშირებით გამოიწვევს როგორც კერძო (მხარეთა), ისე საჯარო (მედიაციის, როგორც დარგის) ინტერესების უსაფუძვლო დაზიანებას. კერძო ინტერესების დაზარალება გამოიხატება მხარისთვის უფლების წართმევაში განახორციელოს თავისი ინტერესების დაცვა, ვინაიდან სამართალწარმოების შეწყვეტის შედეგად იმავე საკითხზე დავა არ დაიშვება და ამავედროულად უკვე მიღწეული სამედიაციო მორიგების იძულებითი აღსრულებაც შეუძლებელი გახდება. მართალია, აღნიშნულის მიუხედავად მხარეებს შეუძლიათ სამედიაციო მორიგების ნებაყოფლობით შესრულება, მაგრამ კანონმა მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა დატოვოს მხარეთა კეთილი ნების იმედად. საჯარო ინტერესების დაზარალება გამოიხატება მედიაციის, როგორც დარგის დისკრედიტაციაში, ვინაიდან ის კარგავს ეფექტურობისა და სანდოობის ელემენტებს. ამ პირობებში სამედიაციო მორიგების გაფორმება არ იქნება მხარეთათვის მისაღები, ვინაიდან არ იარსებებს მისი იძულებითი აღსრულების მექანიზმი. ამასთან, პრაქტიკაში შესაძლებელია წარმოიშვას ანომალიური შემთხვევები, როდესაც მხარეები მედიაციის პროცესში აღწევენ შეთანხმებას, მაგრამ ხელოვნურად წყვეტენ პროცესს და მორიგების აქტს აფორმებენ სასამართლო მორიგების სახით, რათა თავი აარიდონ როგორც სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვის თანმდევ სამართლებრივ რისკებსა და დამატებითი სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებას, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს მედიაციის ინსტიტუტს. სასამართლო მორიგების შემთხვევაში მხარეები ვერ გასცდებიან სარჩელში მითითებულ დავის საგანს, რაც ავტომატურად ზღუდავს მედიაციის უნარს დააკმაყოფილოს მხარეთა მრავალმხრივი ინტერესები.³

¹ ჯობავა გ., 2021 წლის 18 მაისის №1600 კონსტიტუციური სარჩელი <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11266>> [01.06.2023].

² საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, 182-ე მუხლის მე-4 ნაწილი პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=158>> [01.06.2023].

³ Esplugues C., Marquis L., *New Developments in Civil and Commercial Mediation Global Comparative Perspectives*, „Springer International Publishing Switzerland“, 2015, V.

ზემოაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია ორი გზით განხორციელდეს. პირველი გზა გულისხმობს სასამართლოების მერ საკითხის სწორ ინტერპრეტაციას, რომლის თანახმად საქმის წარმოების შეწყვეტა განხორციელდება მხოლოდ სასამართლოს მიერ დამტკიცებული სამედიაციო მორიგების საფუძველზე, რომლის აღსრულებასთან დაკავშირებით მიღებულია სასამართლოს განჩინება და გაცემულია სააღსრულებო ფურცელი ან მხარეთა ერთობლივი განცხადებით დასტურდება მისი ნებაყოფლობითი აღსრულება (აღსრულების საკითხის განხილვის საჭიროების არარსებობა). საკითხის გადაწყვეტის მეორე ალტერნატივას კი სსამოქალაქო საპროცესო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებით ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსის დაზუსტება წარმოადგენს.

3. სასამართლოს მიერ სამედიაციო მორიგების შემოწმების ფარგლები

სამედიაციო მორიგების შინაარსის შემოწმება მისი აღსრულების საკითხის განხილვის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. კანონი¹ მისი შემოწმების ორ ძირითად კრიტერიუმს გამოყოფს: კანონშესაბამისობას და აღსრულებადობას. კოლექტიურ შრომით დავაზე მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების პროცესის განხილვისას კი მითითებულ კრიტერიუმებს ემატება საჯარო წესრიგი.² მოცემულ შემთხვევაში კოლექტიურ შრომით დავებთან მიმართებით კანონმდებლობის დიფერენცირებული მიდგომა შესაძლებელია შრომის სამართალში საჯარო წესრიგის ელემენტის უფრო მაღალი მნიშვნელობით იყოს გამოწვეული, თუმცა აღნიშნული არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული თითქოს სხვა სახის სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვისას სასამართლოს არ აქვს უფლება შეამოწმოს მისი საჯარო წესრიგთან შესაბამისობა, ვინაიდან სამედიაციო მორიგების კანონიერება გულისხმობს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებული მატერიალურ-სამართლებრივი ნამდვილობის წინაპირობების შემოწმებასაც.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სასამართლოს კომპეტენცია მიემართება მხოლოდ სამედიაციო მორიგების შინაარსს და არა ფორმას. სასამართლო არ იკვლევს მის მისაღწევად გამოყენებული გზების კანონიერებასა და მედიაციის პროცესის სისწორეს. ამ ნაწილში პასუხისმგებლობა მედიატორს ეკისრება.

სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვა იმ შემთხვევაში თუ მხარის მიერ წამოყენებულია პრეტენზია სამედიაციო მორიგების მისაღწევად მეორე მხარის მიერ გამოყენებული მექანიზმის არაკანონიერების გამო (მაგ.: იძულება, მოტყუება და სხვ.) და მოთხოვნილია სამედიაციო მორიგების ბათილად ცნობა. ამ შემთხვევაში მითითებული საკითხი განიხილება საერთო წესების დაცვით აღსრულების საკითხის განხილვა კი შეჩერდება.

სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვისას სასამართლოს მიერ შესაფასებელ დამატებით გარემოებას წარმოადგენს მისი შინაარსის აღსრულების შესაძლებლობა, რაც უპირატესად მხარეთა ვალდებულებების იძულებით განხორციელებადობას გულისხმობს. ამ თვალსაზრისით სამედიაციო მორიგების შინაარსი არ უნდა უკავშირდებოდეს მხარის მიერ კონკრეტული მოქმედების განხორციელებას, რისი უზრუნველყოფაც იძულებითი აღსრულების ფარგლებში ვერ განხორციელდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესი სხვა არაფერია თუ არა მხარეთა სამოქალაქო-სამართლებრივი შეთანხმების ლეგიტიმაცია და მისთვის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მინიჭება, სასამართლოს ფუნქცია კი ამ

¹ საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, 363³²-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=158>> [01.06.2023].

² საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, 363³⁵-ე მუხლი, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=158>> [01.06.2023].

პროცესში სამედიაციო მორიგების სამართლებრივ წესრიგთან შესაბამისობისა და მისი აღსრულებადობის დადგენა წარმოადგენს.

4. სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფა

სასამართლოს გადაწყვეტილების მსგავსად სამედიაციო მორიგება დავის გადაწყვეტის შემაჯამებელი აქტია და შესაბამისად მისი აღსრულების უზრუნველყოფის ანალოგიური მექანიზმების არსებობა მედიაციის ინსტიტუტთან მიმართებითაც აუცილებელია.¹

სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფა თავისი არსით ყველაზე მეტ მსგავსებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან ამჟღავნებს. ამდენად, მასზე ვრცელდება ანალოგიური დასაბუთების სტანდარტი. უპირველეს ყოვლისა, განმცხადებელმა უნდა დაადასტუროს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის შესახებ.² აღნიშნული საკითხების დასაბუთება მნიშვნელოვანია, რამდენადაც უზრუნველყოფა წარმოადგენს მეორე მხარეს კანონიერი უფლებების განხორციელების შემზღვეველ ღონისძიებას.³ შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო უნდა ხელმძღვანელობდეს დასაბუთებული ვარაუდით, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულებული საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის აღსრულება.⁴

სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის მიზანს, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მსგავსად, წარმოადგენს დავის გადაწყვეტის მიზნით მიღწეული შედეგის რეალიზაციისათვის ყოველგვარი დაბრკოლების აცილება, კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალებების (მათ შორის ქონებაზე ყადაღის დადების) გამოყენების გზით.⁵ ამ ინსტიტუტის შემოღებით კანონმდებელი კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის მიზანს გარანტირებული გახადოს სამედიაციო მორიგების აღსრულება, რაც პრაქტიკაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ1“ ქვეპუნქტის ამ მიზნისგან განსხვავებულ ინტერპრეტაციას გამოიწვევს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეში აღნიშნავს, რომ „კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება... უნდა იყოს არა ილუზორული, არამედ ქმნიდეს პირის უფლებებში ჯეროვნად აღდგენის რეალურ შესაძლებლობას და წარმოადგენდეს უფლების დაცვის ეფექტურ საშუალებას“.⁶ მითუმეტეს, რომ სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციური უფლება თავის თავში მოიაზრებს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის საჭირო ბერკეტების შექმნას, რაც მედიაციის დროსაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც უფლების სასამართლო დაცვის შემთხვევაში.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისგან განსხვავებით სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფა დაკავშირებულია მისი შინაარსის პროგნოზირების შეუძლებლობასთან. ვინაიდან, მოლაპარაკების დაწყებამდე მხარეთათვის უცნობია, მათი სავარაუდო მორიგების შედეგი, რაც ართულებს ერთის მხრივ უზრუნველყოფის ღონისძიების და მეორე მხრივ უზრუნ-

¹ Giesel G. M., Enforcement of Settlement Contracts: The Problem of the Attorney Agent, Georgetown Journal of Legal Ethics, vol. 12, no. 3, 1999, 544.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე №ას-515-2023.

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 17 მაისის განჩინება საქმეზე №ას-258-2022.

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-587-2019.

⁵ დიდუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი (მეორე გამოცემა), თბილისი, 2005, 299.

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/2/577.

ველყოფის საგნის შერჩევას. ამასთან, შესაძლებელია მედიაციის მიმდინარეობისას მხარეებმა ინტერესები შეიცვალონ და შესაბამისად ადრე გამოყენებული სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიება აღარ იყოს აქტუალური, რაც მედიაციის პროცესში მონაწილე მხარეთა რისკს წარმოადგენს. უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მაქსიმალურად გასათვალისწინებელია ორივე მხარის კანონიერი ინტერესი.¹ ამდენად, ეს საპროცესო მოქმედება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ ოდენობით, რაც აუცილებელია მოსარჩელის/მხარის კანონიერი ინტერესის დასაცავად,² რათა გამოირიცხოს არათანაზომიერი უზრუნველყოფის ღონისძიებით უფლების ხელყოფის რისკი.³

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ინსტიტუტს სასამართლო და კერძო მედიაციაში ცენტრალური ადგილი უჭირავს. მისი არსებობა არამხოლოდ ზრდის აღსრულების რეალურ შანსებს, არამედ აფიქსირებს კანონმდებლის უწყევ პოზიციას დაიცვას მედიაციისა და მასში მონაწილე პირების ინტერესები სამედიაციო მორიგების აღსრულების გარანტიების შექმნის გზით, რითაც ხელს უწყობს სხვა პროცესუალური ნორმების სწორ ინტერპრეტაციას სისტემური და ტელეოლოგიური განმარტების მეთოდით.

5. დასკვნა

უცხო ქვეყნების მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობა სამედიაციო მორიგების კლასიფიკაციას, მის მისაღწევად გამოყენებული მედიაციის კონკრეტული სახის მიხედვით არ იცნობს. აღნიშნულის მიუხედავად სამედიაციო მორიგების აღსრულებისათვის დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი განსხვავებულად მოქმედებს სასამართლო და კერძო მედიაციაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესუალურ წინაპირობას სასამართლოს მიერ მისი განხილვა წარმოადგენს, რომელიც აღსრულების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს განჩინების ფორმით და გასცემს სააღსრულებო ფურცელს. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო არ ამოწმებს მედიაციის პროცედურულ სისწორეს. ის მხოლოდ სამედიაციო მორიგების შინაარსით ხელმძღვანელობს და იმ შემთხვევაში აცხადებს უარს მის აღსრულებაზე თუ მორიგების შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან მისი აღსრულება პრაქტიკულად შეუძლებელია.

მეორე მხრივ გასათვალისწინებელია, სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების ნამდვილობის სხვა წინაპირობები, რომლებიც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. მათი მოქმედება სრულად ვრცელდება სამედიაციო მორიგებაზე, ვინაიდან თავისი არსით სამედიაციო მორიგება, სხვა არაფერია თუ არა მედიაციის შედეგად, დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულების მიზნით დადებული სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება.⁴ ამდენად, მისი აღსრულების საკითხის განხილვისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363³²-ე მუხლით დადგენილი წინაპირობების გარდა, სასამართლომ ასევე უნდა შეაფასოს გარიგების ბათილობის მატერიალურსამართლებრივი საფუძვლებიც (მაგ.: საჯარო წესრიგთან შეუსაბამობა, ზნეობის ნორმებთან წინააღმდეგობა). ცხადია, თუ სამედიაციო მორიგება სამოქალაქო სამართლებრივად ბათილია ის იძულებით აღსრულებას ვერ დაექვემდებარება.

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე №ას-515-2023.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 თებერვლის განჩინება საქმეზე № ა-1741-შ-42-2020.

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე №ას-515-2023.

⁴ *Manetska K., Levchyshtyna O., Enforceability of Mediation Settlement Agreements: Ukrainian Perspective in the Light of Current Trends, International Comparative Jurisprudence, № 6(1):84-94, Kiev 2020, 86.*

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რაც სამედიაციო მორიგების აღსრულებას უკავშირდება მხარეთა მიერ სამედიაციო მორიგების აღსრულების რეჟიმით ბოროტად სარგებლობის საფრთხეა, რათა მედიაცია არ იქნას გამოყენებული ახალი გარიგებებისა და ხელშეკრულებების დასადავად, რომელთა აღსრულებაც სასამართლო დავის გარეშე მოხდება და მხარეებს მიეცემა შესაძლებლობა ხელოვნურად აარიდონ თავი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებს. სამედიაციო მორიგება დავის გადაწყვეტის მიზნით შეიძლება ითვალისწინებდეს მხარეთა ახალ უფლებებსა და ვალდებულებებს, მაგრამ მათი აღება უნდა უკავშირდებოდეს მხოლოდ არსებული კონფლიქტის მოგვარების მიზანს ვინაიდან, მედიაცია დავის გადაწყვეტის მექანიზმია და არა ახალი ხელშეკრულების დადების. ამ თვალსაზრისით აუცილებელია მედიატორმა კარგად გამოიკვლიოს მხარეთა მიერ მედიაციისადმი მიმართვის მიზნები და არ დაუშვას მისი ბოროტად გამოყენება.

სასამართლო მედიაციასთან მიმართებით პრაქტიკაში განსაკუთრებით პრობლემატურია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ1“ ქვეპუნქტი, რომელიც საქმის წარმოების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად, სასამართლოსთვის სამედიაციო მორიგების წარდგენას ითვალისწინებს. ამდენად, ნორმის სიტყვასიტყვითი ინტერპრეტაციით, იქმნება მდგომარეობა როდესაც სასამართლო საქმისწარმოება წყდება, სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხის განხილვის გარეშე, ვინაიდან მისი განხილვა ცალკე წარმოების ფარგლებში ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV¹³ თავით დადგენილი წესით.

გასათვალისწინებელია, რომ ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ სამედიაციო მორიგების აღსრულებაზე უარის თქმა (ძირითად სასამართლო დავაზე საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ) გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს მხარეებს და დაუკარგავს მათ თავიანთი მატერიალური უფლების პროცესუალური რეალიზების შესაძლებლობას, ვინაიდან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამედიაციო მორიგება შესასრულებლად ვალდებულო ძალას, ანუ იურიდიულ ლეგიტიმაციას იძენს მხოლოდ სასამართლოს მიერ მისი აღსრულების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან. შესაბამისად, დაუშვებელია სამართლებრივი პროცესის შეწყვეტა ისეთი აქტის საფუძველზე, რომლის შესრულების აუცილებლობაც აღიარებული არ არის. მართალია, სასამართლო ლეგიტიმაცია სამედიაციო მორიგების ცნების ელემენტს არ წარმოადგენს, მაგრამ მისი არსებობა სამართლებრივი პროცესის შესაწყვეტად აუცილებელია.

სხვა შემთხვევაში მხარეები იძულებულნი გახდებიან შეთანხმების მიღწევისთანავე შეწყვიტონ მედიაციის პროცესი და თავიანთი მორიგება დაამტკიცონ არა სამედიაციო, არამედ სასამართლო მორიგების ფორმით, რაც არ წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ გზას. ამგვარი მიდგომა იწვევს მედიაციის, როგორც დარგის დისკრედიტაციას, მისი ეფექტურობის დაქვეითებას და შესაბამისად მიმართვიანობის შემცირებას. აღნიშნული კი თავის მხრივ ზრდის დატვირთვას სასამართლო სექტორზე, რაც მისი გადატვირთულობის პრობლემას კიდევ უფრო მეტად ამწვავებს და ამავდროულად შეუძლებელს ხდის მედიაციის ინსტიტუტის კანონით გათვალისწინებული მიზნების (სასამართლოს განტვირთვა, ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველყოფა, დავების მშვიდობიანი მოგვარება და სხვ.) მიღწევას.

მართალია სამედიაციო მორიგების შინაარს თავისი ხელმოწერით ადასტურებს მედიატორიც, მაგრამ მას არ მოეთხოვება სპეციალური იურიდიული განათლება და შესაბამისად არც კანონმდებლობით აქვს მინიჭებული პირდაპირ სააღსრულებო დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილება.

სამედიაციო მორიგებისგან განსხვავებით, სასამართლო მორიგების შემთხვევაში მხარეები ვერ გასცდებიან სარჩელში მითითებულ დავის საგანს, რაც ავტომატურად ზღუდავს მათ უფლებას სასამართლო დავასთან დაუკავშირებელი საკითხები გამოიყენონ მორიგებისათვის საჭირო დამატებით რესურსად და ერთი საქმის ფარგლებში გადაწყვიტონ მათი სხვადას-

ხვა ურთიერთობები, რომლებიც განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს.

კანონმდებლობაში არსებული ამგვარი ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ ერთიანი სწორი პრაქტიკის დადგენა, რომლის თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ1“ ქვეპუნქტის გამოყენება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სასამართლომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება სამედიაციო მორიგების აღსრულების თაობაზე ან მხარეთა მითითებით აღნიშნული საჭიროება აღარ არსებობს (მაგალითად: ნებაყოფლობით შესრულდა). ამგვარი მიდგომა დასაბუთებული და გამართლებული იქნება არამხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო აქტებითაც. მაგალითისთვის გასათვალისწინებელია „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენცია, რომელიც განსაზღვრავს ნევრი სახელმწიფოების ვალდებულებას საკუთარ ტერიტორიაზე უზრუნველყოს სამედიაციო მორიგების აღსრულება. ანალოგიური მიდგომაა გაზიარებული გაერთიანებული ერების კომისიის (UNCITRAL) მოდალური კანონითაც, რაც საკითხის ამგვარი ინტერპრეტაციის საერთაშორისო სამართლებრივ რეჟიმთან შესაბამისობას ადასტურებს.

პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიულ გზას წარმოადგენს ასევე 272-ე მუხლის „დ1“ ქვეპუნქტის რედაქციული ცვლილება იმგვარად, რომ სასამართლოს პრაქტიკულად აღარ ჰქონდეს სხვაგვარი განმარტების შესაძლებლობა. მითითებული ნორმის სამედიაციო მორიგების აღსრულების მიზნიდან გამომდინარე, განმარტების სისწორეს ასევე ადასტურებს სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსებობა, რაც შესაძლებლობას ანიჭებს მხარეებს მედიაციის დაწყებამდეც კი შექმნან სამედიაციო მორიგების აღსრულების დამატებითი ბერკეტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია სამართალშემოქმედებისა და სამართალწარმოების პროცესის სამედიაციო მორიგების აღსრულების პრიმატის ფარგლებში წარმართვა, რათა გამოირიცხოს ნორმათა არასწორი ინტერპრეტაციისა და უპირატესად სამართლებრივი წესრიგის ინტერესების ხელყოფის რისკი.

ბიბლიოგრაფია:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 7 აგვისტოს კონვენცია „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 666-IVმს-Xმპ, 22/06/2021.
2. საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 33, 09/11/2009.
3. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 4954-ლ, 18/09/2019.
4. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 13, 02/07/2009.
5. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 13(20), 01/05/1999.
6. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.
7. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997.
8. ამიხანაშვილი გ., გარიგების ფორმის ფუნქციები, სამართლის ჟურნალი №1, თბილისი, 2016, 50-60.
9. ბახნაბიშვილი გ., წიკვაუჩი ს., სამედიაციო მორიგების აღსრულების საკითხი საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწადულის, თბილისი, 2016, 8.
10. ბახნეთი ქ. გ., უიღისი თ., მედიაცია, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადულის, თბილისი, 2016, 250.
11. გუჩიედი ა., სასამართლო და არასასამართლო მედიაციის ურთიერთმიმართება, სასამართლო მედიაციის ფორმების გამიჯვნის აუცილებლობა საქართველოში და მოსამართლის უფლებამოსილება თითოეულის წარმართვისას, ჟურნ. სამართალი და მსოფლიო, №12, თბილისი, 2019, 41.

12. *დაჩანია თ.*, რა არის მევახშეობა? (მევახშეობის თანამედროვე გაგება და მისი ხელშემწყობი საკანონმდებლო და არასაკანონმდებლო ფაქტორები): წიგნში: ზურაბ ახვლედიანი 80 (რედ.: *დღიეხიშვილი ზ., ქავთაიაძე ს.*) თბილისი, 2013, 66.
13. *ვაშაკიძე მ., თახჩინიშვილი ქ., ჯობაძე ნ.*, ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა მედიაციის პროცესში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადი, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2018, 94.
14. *ზახანდია თ., ჯულედი თ.*, ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, ჟურნ.: მართლმსაჯულება და კანონი, №4 თბილისი, 2006, 77.
15. *თუმანიშვილი გ.*, გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), თბილისი, 2012, 11.
16. *კეხესეიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, 280.
17. *კოვაკი კ.*, ადვოკატთა მოვალეობები და პასუხისმგებლობა დავის გადაწყვეტისას, კეთილსინდისიერება მედიაციაში – თხოვნის, რეკომენდაციის თუ მოთხოვნის სახით დადგენილი? ახალი ეთიკა, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწადი, თბილისი, 2014, 299.
18. *ღიღუაშვილი თ.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი (მეორე გამოცემა), თბილისი, 2005, 299.
19. *ღიპაჩია ნ.*, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები საჯარო წესრიგთან მიმართებით, წიგნში: ზურაბ ახვლედიანი 80 (რედ.: *დღიეხიშვილი ზ., ქავთაიაძე ს.*), თბილისი, 2013, 132.
20. *მამიაშვილი თ.*, მოსამართლის ფუნქცია სამოქალაქო საქმისწარმოების მორიგებით დამთავრებისას და შედეგები, რომელიც მიიღწევა მორიგებით, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწადი, თბილისი, 2018-2019, 85-86.
21. *მესხიშვილი ქ.*, გარიგების ფორმის ფუნქცია (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), ჟურნ.: ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, VIII გამოცემა, თბილისი, 2018, 58.
22. *ჟოხიძე დ., ბოღიში დ.* პატივს მემიაციის პროცესში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადი, თბილისი, 2014, 39.
23. *ტაკაშვილი ს.*, მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმის, მნიშვნელობა კოლექტიური შრომითი დავის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადი, თბილისი, 2014, 50.
24. *ტყემალაძე ს.*, "საჯარო წესრიგი" როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუმჯობესების თუ მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), ჟურნ.: ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოცემა, თბილისი, 2012, 16-18.
25. *ჩიგაშვილი ნ.*, ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, სამართლის ჟურნალი №2, თბილისი 2016, 38.
26. *ჩიგაშვილი ნ.*, სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურდვობის საფუძველი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწადი, თბილისი, 2016, 11.
27. *ცეცვაძე გ., ახვაძე მ., ვასაძე ე., თვაუჩი ხ., ივანიძე გ., მახაუჩი პ., ჟიჟიაშვილი თ., ტაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბრაძე ბ.*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, 2013, 13.
28. *ცეცვაძე გ.*, მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა(ზოგადი მიმოხილვა), „მერიდიანი“, თბილისი, 2010, 29.
29. *ცეცვაძე გ.*, საერთაშორისო არბიტრაჟი(შედარებითი ანალიზი), „მერიდიანი“, თბილისი, 2012, 21.
30. *წუდაძე ა.*, „სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრინციპში“, სადისერტაციო ნაშრომი, „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 2016, 82.
31. *დღიეხიშვილი ზ., ცეცვაძე გ., ხობაქიძე ი., სვანაძე გ., ცეცვაძე დ., ჯანაშია დ.*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 89.
32. *ჭანტუჩია დ.*, სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 54-ე და 90-ე მუხლების კომენტარი, წიგნში: სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, (მთავარი რედ. *ჭანტუჩია დ.*), თბილისი, 2017, 286, 316, 529-530.
33. *ჯობავა გ.*, 2021 წლის 18 მაისის №1600 კონსტიტუციური სარჩელი, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11266>> [01.06.2023].
34. *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის კომენტარი, წიგნში: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I ზოგადი დებულებანი (მთავარი რედ. *ჭანტუჩია დ.*), თბილისი, 2002, 178.
35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 18 მაისის განჩინება საქმეზე №ას-515-2023.
36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 21 მარტის განჩინება საქმეზე №ა-381-შ-10-2023.
37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 23 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-1174-2022.

38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 დეკემბრის განჩინება საქმეზე №ას-802-2020.
39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 24 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1217-2021.
40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 23 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-677-2021.
41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 06 აგვისტოს განჩინება საქმეზე №ას-612-2021.
42. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-34-2022.
43. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 25 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1097-2021.
44. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 17 მაისის განჩინება საქმეზე №ას-258-2022.
45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 20 თებერვლის განჩინება საქმეზე №ას-587-2019.
46. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 18 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-679-2021.
47. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 28 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-486-486-2018.
48. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 27 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №ას-1264-2018.
49. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 22 თებერვლის განჩინება საქმეზე №ა-1741-შ-42-2020.
50. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 28 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-1050-2020.
51. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 28 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-218-2020.
52. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 20 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-1548-2019.
53. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე №ას-497-2019.
54. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 29 მარტის განჩინება საქმეზე №ას-1215-2018.
55. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მაისის განჩინება საქმეზე №ას-212-201-2017.
56. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 06 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-743-704-2015.
57. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განჩინება საქმეზე №ას-1224-1149-2015.
58. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1212-1138-2015.
59. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-487-461-2015.
60. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-189-182-2013.
61. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/2/577.
62. UNCITRAL Model Law on International Commercial Mediation and International Settlement Agreements Resulting from Mediation with Guide to Enactment and Use (2018).
63. *Abedian H.*, Judicial Review of Arbitral Awards in International Arbitration – A Case for an Efficient System of Judicial Review, *Journal of International Arbitration*, Vol. 28, Issue 6, Kluwer Law International 2011, 553.
64. *Chi S.*, The Role of Mediation in Trademark Disputes, *American Journal of Mediation*, Vol. 2, 2008, 121.
65. *EL Farag M. S. A.*, The Enforcement of Settlement Agreements Resulting from Mediation – a Qatari Perspective, *Asian Business Lawyer*, 19, 2017, 55-58.
66. *Esplugues C., Marquis L.*, New Developments in Civil and Commercial Mediation Global Comparative Perspectives, „Springer International Publishing Switzerland“, 2015, V.

67. *Fritz J. M.*, Moving toward a just peace, the mediation continuum, „Springer“, New York, London, 2014, 4.
68. *Giesel G. M.*, Enforcement of Settlement Contracts: The Problem of the Attorney Agent, *Georgetown Journal of Legal Ethics*, vol. 12, no. 3, 1999, 544.
69. *Gore N.*, *Handbook on Mediation*, Bhilai, 2021, 5,
70. <https://www.google.ge/books/edition/Handbook_on_Mediation/-WsYEAAAQBAJ?hl=ka&gbpv=1&dq=mediation&printsec=frontcover >[29. 04. 2023].
71. *Jerningan M., Lord R. B.*, The Mediator's Role in The Family Business, *American Journal of Mediation*, vol. 2, 2008, 57.
72. *Keltner J. W. (S)*, *Mediation Toward a Civilized System of Dispute Resolution*, Illinois, 1996, 11, <https://books.googleusercontent.com/books/content?req=AKW5QacOd1U7tVUJAOEP9cUe0aghBzs-DwQf9DCO6Ctohz9VEgTuYq6lZtLrjyGJHaKs3lyy7VtoEjhAwfun9aqoTtpCOH1ajEcTrkNGpqXfRxsIqxTTU4llVAvLYJvudRl0qAGLcl-9KfbSk8wUeSjxktCI9_Dk_NnErB--aEXkgJ__ydNC6Pz9E3h8zaknNddb8OhxeUWF7-mWbe-SGxWaxxD6LFK_ExQEuLM2CCU22a8HYC0tXM> [02.05.2023].
73. *Manetska K., Levchyshyna O.*, Enforceability of Mediation Settlement Agreements: Ukrainian Perspective in the Light of Current Trends, *International Comparative Jurisprudence*, № 6(1):84-94, Kiev 2020, 86.
74. *Sawicki S. C.*, Mediation: The Dance and The Deal, *American Journal of Mediation*, Vol.2, 2008, 35.
75. *Spencer D., Brogan M.*, *Mediation Law and Practice*, Cambridge, 2006, 9, <https://www.google.ge/books/edition/Mediation_Law_and_Practice/msjLCgAAQBAJ?hl=ka&gbpv=1&kptab=overview> [29.04.2023].
76. *Stinchcombe A. L.*, *When Formality Works: Authority and Abstraction in Law and Organizations*, University of Chicago Press, Chicago, 2001, 2-3.
77. *Tsuvina T., Ferz S.*, The Recognition and Enforcement of Agreements Resulting from Mediation: Austrian and Ukrainian Perspectives, *Access to Justice in Eastern Europe*, 2022, 35, <att_1668595544.pdf (ajee-journal.com)> [05. 06. 2023].
78. *Waller S.*, Court Enforcement of Mediated Agreements: Should contract law be applied? *The Judges Journal*, №31(1), 1992, 14.
79. *Weinstein R. J.*, *Mediation in the Workplace, A Guide for Training, Practice and Administration*, London, 1967, 5, <https://www.google.ge/books/edition/Mediation_in_the_Workplace/3Aijkfip6TIC?hl=ka&gbpv=1 > [29. 04. 2023].